

N102; 05.07.2023

გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსს

ქალბატონ ნინო თანდილაშვილს

ქალბატონო ნინო,

როგორც მოგეხსენებათ, შპს „ვერობეტონი“ კასპის მუნიციპალიტეტში, სოფ. ქებაანში, სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე, გეგმავს თევზის მოშენების მიზნით აკვაკულტურის მეურნეობის (წყლის შესაკავებელი ნაგებობის) მოწყობასა და ექსპლუატაციას. ამ ეტაპზე კომპანია გეგმავს 6 ტბორის მოწყობას, თითოეული ზომით: სიგრძე - 100 მ, სიგანე - 70 მ, სიღრმე - 1.5 მ, შესაბამისად ტბორების მიერ შეკავებული წყლის რაოდენობა იქნება 63 000 მ³. სატბორე მეურნეობაში მოშენებული თევზის რაოდენობა პირველ ეტაპზე იქნება დაახლოებით 10 ტონა წელიწადში, თუმცა კომპანია სამომავლოდ გეგმავს წელიწადში 60 ტონა თევზის მოშენება-რეალიზაციას.

გამომდინარე იქიდან, რომ დაგეგმილი საქმიანობა წარმოადგენს საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მეორე დანართის, პირველი პუნქტის, 1.6 ქვეპუნქტით და ამავე კოდექსის პირველი დანართის 21-ე პუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას, საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-8 მუხლისა და თქვენი 2023 წლის 23 თებერვლის N21/1214 წერილის შესაბამისად მომზადებულ იქნა სკოპინგის ანგარიში.

გთხოვთ, განიხილოთ თანდართული დოკუმენტაცია და გასცეთ შესაბამისი გადაწყვეტილება.

დანართი - სკოპინგის ანგარიში 1 ეგზ;

სკოპინგის ანგარიშის ელ. ვერსია;

ტყის აღრიცხვის მონაცემები;

Shp ფაილები.

პატივისცემით,

შპს „ვერობეტონის“ დირექტორი

გიორგი გოგოლაური



Giorgi
Gogolauri
24001001013
Digitally signed
by Giorgi
Gogolauri
Date: 2023.07.05
13:32:38